სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ივნისი 2026

N 447/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „სანდასუფთავება“-ს სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „სანდასუფთავება“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2009 წელის 5 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „სანდასუფთავება“-ს საქმიანობაზე (ბათუმის მერიის სამედიცინო-ბიოლოგიური მავნე ნარჩენების თერმული გაუვნებლების საწარმო) გაცემულია №63 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 23 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-321).

სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ადლიის ნაგავსაყრელი პოლიგონის ტერიტორიაზე (ს/კ: 05.32.05.071; ფართობი: 824 $მ^2$). სახიფათო ნარჩენების ინსინერაციისათვის გათვალისწინებულია ინგლისური ფირმის „Insiner 8 LTD-s Model P-16 Series OIL“ დანადგარი, რომლის მაქსიმალური წარმადობა 10 საათში 400 კილოგრამს შეადგენს და დიზელის საწვავზე მუშაობს. ინსინერატორის საპროექტო წარმადობად განსაზღვრულია დღეში (2 საათში) 90 კილოგრამი, ხოლო წელიწადში – 21 424 კილოგრამი სახიფათო ნარჩენის ინსინერაცია. ინსინერატორისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებულია სარკოფაგი/ფერფლსაცავი.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 17 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „სანდასუფთავება“-ს კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და გამოვლენილ დარღვევებზე 2025 წლის 8 დეკემბერს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 მუხლის მეორე ნაწილის, 79^8 მუხლის პირველი ნაწილის და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-40 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს „სანდასუფთავება“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №098337 ოქმი, რომელიც განსახილველად ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილ ტერიტორიას ადლიის ნაგავსაყრელი, საავტომობილო გზა და დაუსახლებელი ტერიტორიები ესაზღვრება, ხოლო უახლოესი რეცეპტორები – ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი და დასახლებული პუნქტი – დაახლოებით 950 და 1 300 მეტრში მდებარეობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში სხვადასხვა შენობა-ნაგებობები ფიქსირდება, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „სანდასუფთავება“-ს მიერ განხორციელდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, რომლის ფარგლებშიც ინსინერატორის წარმადობა გაიზარდა. გაზრდილი წარმადობის პირობებში, ინსინერატორის სამუშაო რეჟიმი წელიწადში 330 დღეს, დღეში 10 საათს შეადგენს და წლის განმავლობაში 132 000 კილოგრამი (დღეში 400 კილოგრამი) ნარჩენის ინსინერაციას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში დეტალურად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახლებები, რაოდენობები და შემდგომი მართვის ღონისძიებები), აგრეთვე ინსინერაციის მიზნით მისაღები და ინსინერატორის ფუნქციონირების ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტების შესახებ. შესაბამისად, დასაწვავი ნარჩენების არსებითად გაზრდილი რაოდენობის და სახეობების გათვალისწინებით, მითითებული საკითხები დეტალურ შესწავლას და შეფასებას მოითხოვს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მიმდებარედ წყალგაყვანილობები და საკანალიზაციო სისტემები არ არსებობს, მოწყობილია სასმელი, სამეურნეო და სახანძრო წყალმომარაგების ავზები. თუმცა, ობიექტის წყალმომარაგებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურისა და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, რაც სათანადო შესწავლას და შეფასებას საჭიროებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ინსინერატორის წარმადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინსინერატორში გამოსაყენებელი საწვავის რაოდენობის გაზრდასთანაც, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურ შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყაროებია მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები, ტუმბოები და გენერატორი. ასეთი მცირე სიმძლავრის ძრავების და გენერატორის მუშაობასთან დაკავშირებული ხმაური როგორც სამუშაო ზონაში, ისე ობიექტის ტერიტორიაზე უმნიშვნელოა და შემოგარენზე ზემოქმედებას არ მოახდენს. ვინაიდან აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია შესაბამისი დასაბუთებისა და გაანგარიშების გარეშე, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში სხვადასხვა შენობა-ნაგებობები ფიქსირდება (რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის), ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს.

საგულისხმოა ისიც, რომ სკრინინგის განცხადებაში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ძირითადად განხილულია ადლიის ნაგავსაყრელ პოლიგონზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები, ხოლო უშუალოდ კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია მოცემული არ არის. შესაბამისად, საქმიანობის ადგილმდებარეობის და სპეციფიკის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დეტალურ შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის (GE0000054 – „ჭოროხის დელტა“) საზღვრებში, საჭიროა ბიომრავალფეროვნება და მასზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეფასდეს არამხოლოდ ინსინერატორისა და მისი ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, არამედ საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გავრცელების არეალშიც, მათ შორის, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტზე, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ზურმუხტის ქსელზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების ანგარიშში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მოცემული მონაცემები ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ზემოქმედებისადმი სენსიტიურობასთან, ამ ზემოქმედების ალბათობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით დასაბუთებას საჭიროებს. ამასთან, დგინდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმების საჭიროება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ცხოველებზე და მათი არსებობისთვის მნიშვნელოვან ადგილებზე, აგრეთვე, ფრინველთა გადაფრენის მარშრუტებზე, მათ საბუდარ, საკვებ და დასასვენებელ ადგილებზე ზემოქმედებაზე.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ვინაიდან სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად შპს „სანდასუფთავება“-ს კუთვნილ ობიექტზე გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების რიგი დარღვევები, რაც საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებული გარემოსდაცვითი რისკების არასათანადო მართვაზე მიუთითებს, ხოლო წინამდებარე სკრინინგის განცხადება არ შეიცავს საკმარის და სრულყოფილ ინფორმაციას საქმიანობის მასშტაბის ზრდით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისთვის, შეუძლებელია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების სათანადო იდენტიფიცირება, აგრეთვე ეფექტიანი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა იმ პირობებში, როდესაც ინსინერატორის წარმადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, არსებითად ზრდის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების, კუმულაციური ზემოქმედების, ასევე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობის გზშ-ის ანგარიში და მის საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ეფუძნება საქმიანობის იმ პარამეტრებსა და პირობებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობისგან და საქმიანობის მასშტაბის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში, პოტენციურ გარემოსდაცვით რისკებს ვეღარ პასუხობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების სრულფასოვანი შეფასების, გარემოსდაცვითი რისკების სათანადო ანალიზის და ადეკვატური პრევენციული, შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, იკვეთება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენის საჭიროება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში შპს „სანდასუფთავება“-ს სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (წარმადობის გაზრდა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას საჭიროებს.**

2. შპს „სანდასუფთავება“ ვალდებულია, კოდექსის 7^1 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სანდასუფთავება“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სანდასუფთავება“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/447-21-4-202606290944

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE